ინფორმაციის თავისუფლების
განვითარების ინსტიტუტი

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი

№20201208

11 დეკემბერი, 2020 წელი

საქართველოს პრემიერ-მინისტრს

ბატონ გიორგი გახარიას

მიმართვა

ბატონო გიორგი,

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტმა (IDFI) და საქართველოში საბჭოური პერიოდის პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლთა ხსოვნისა და თანადგომის საზოგადოება „მემორიალმა", ა/წ 24 ივნისის №20200608 და 27 ივლისის №20200709 წერილებით მოგმართათ რეპრესიების მსხვერპლთათვის საყოფაცხოვრებო სუბსიდიის ზრდასთან დაკავშირებით. წერილში აღვნიშნეთ, რომ პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლთათვის განკუთვნილი 7 ლარიანი საყოფაცხოვრებო სუბსიდიის 44 ლარამდე გაზრდის შემთხვევაში (რითაც ის გაუთანაბრდება იმ საყოფაცხოვრებო სუბსიდიას, რომლითაც სარგებლობენ საქართველოში მეორე მსოფლიო ომის მონაწილეები, 9 აპრილის დარბევის შედეგად შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები და სხვა), 2021 წლის ხარჯი განისაზღვრება დაახლოებით 5 მილიონი ლარით (დაგეგმილთან შედარებით ზრდა 4,2 მილიონი ლარი).

2010 წლის იანვრის მდგომარეობით, საქართველოში იყო 20,775 პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლი, რომელთა რაოდენობა 2020 წლის იანვრის მდგომარეობით ბუნებრივი კლების გამო განახევრდა (მოსარგებლედ დარჩა 10,396 პირი).

2019 წლიდან მსოფლიოში დაწყებული COVID-19 პანდემიიდან გამომდინარე, საქართველოში ეკონომიკური ვითარება გაუარესდა. ვფიქრობთ, რომ გაუარესებული ეკონომიკურ პირობებისა და იმის გათვალისწინებით, რომ რეპრესიების მსხვერპლთა უმეტესობა მიეკუთვნება ასაკობრივ რისკ ჯგუფს, ამ ადამიანებს მეტი ყურადღება სჭირდებათ. ყოველთვიური დახმარების 7 ლარიდან 44 ლარამდე ზრდა შესაძლოა მათი ყოფა-ცხოვრებისა და ჯანმრთელობისთვის გადამწყვეტიც კი აღმოჩნდეს.

პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლის სტატუსის მქონე ადამიანები, რომლებიც უსამართლოდ დაისაჯნენ სახელმწიფოს მხრიდან, მათ დაუხვრიტეს და გადაუსახლეს მშობლები, ჩამოართვეს

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი
მის.: ტ. შევჩენკოს ქ. N20, თბილისი 0108, საქართველო
ტელ.: +995 32 2 921514 • info@idfi.ge

www.idfi.ge

ქონება, უკანონოდ იდევნებოდნენ და ბარიერებს უქმნიდნენ კარიერასა და საჯარო ცხოვრებაში, ატარებდნენ დამამცირებელ - „ხალხის მტრის“ იარლიყს და მაქსიმალურად ცდილობდნენ მათი საზოგადოებისგან გარიყვას.

აღნიშნული პირების მდგომარეობა გაუარესდა თანამედროვე საქართველოშიც: 2012 წლის 1 სექტემბრიდან, საქართველოს მეშვიდე მოწვევის პარლამენტმა სხვადასხვა ტიპის ფულადი გასაცემლები გააერთიანა, რის შემდეგაც „საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ“ კანონის მე-12 მუხლის ბ) პუნქტით დადგენილი შეღავათები - *საყოფაცხოვრებო-კომუნალური მომსახურების (გათბობა, წყალი, საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა, გაზი და თბოენერგია, ტელეფონის საბონენტო გადასახადი) ფასდაკლება სახელმწიფოს ხარჯზე – ღირებულების 50 პროცენტის ოდენობით, თუ ამ მომსახურებას ახორციელებს სახელმწიფო დაწესებულება; ელექტროენერგიის უფასო მოხმარება თვეში 30 კვტ სთ-ის ოდენობით, ხოლო ოჯახში ორი ან მეტი შეღავათის მქონე პირის არსებობისას – 45 კვტ სთ-ის ოდენობით; საცხოვრებელი ფართობის ქირის შეღავათი იმ პირისთვის, რომელიც ცხოვრობს სახელმწიფო ფონდის სახლში,* შემცირდა თვეში 7 ლარიან სუბსიდიამდე.

ბატონო გიორგი, 2021 წლის ბიუჯეტის შემუშავებამდე, კიდევ ერთხელ მოგმართავთ თხოვნით, დაუთმოთ თქვენი ყურადღება რეპრესირებულთა საყოფაცხოვრებო სუბსიდიის ზრდის საკითხს, გაითვალისწინოთ ეს ბიუჯეტის პროექტში. პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლთა საყოფაცხოვრებო სუბსიდიის ზრდა იქნება საქართველოს 10 ათასი ასაკოვანი მოქალაქის დაფასება, ასევე მათი მნიშვნელოვანი მატერიალური დახმარება სახელმწიფოს მხრიდან, როგორც ეს არის ევროპის სახელმწიფოებში.

დანართის სახით გიგზავნით ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI) კვლევებს: „პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლთა სამართლებრივი რეაბილიტაციის მექანიზმები საქართველოში და მათი შეფასება“ და „პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლთა სოციალური დახმარების სტატისტიკა“.

პატივისცემით,

გიორგი კლდიაშვილი	აღმასრულებელი დირექტორი
ინფორმაციის თავისუფლების განვითარების	გურამ სოსელია
ინსტიტუტის (IDFI)	საზოგადოება „მემორიალი“-ს თავმჯდომარე